

0

**იბეჭდება** ენებითის ფორმაა **ბეჭდავს** ზმნისა და ნიშნავს: ბეჭდურად ქვეყნდება: „დღეს **იბეჭდება** ცნობა, რომ თქვენმა კრებამ წლის ანგარიში უარყო“ (ილია); „თბილისის სტამბაში მუდამ... **იბეჭდებოდა** მრავალი ქართული წიგნი“ (ი. გოგბ.). ეს ზმნა ერთპირიანია, შეეწყობა მხოლოდ ქვემდებარე და, ისიც, უსულოთა ჯგუფის არსებითი სახელით გამოხატული.

უკანასკნელ ხანებში **იბეჭდება** ზმნამ გამოყენების არე მნიშვნელოვნად გაიფართოვა და სხვა სემანტიკური ჯგუფის, კერძოდ, სულიერთა (ადამიანთა) აღმნიშვნელ სახელებთან ჯერ სასაუბრო ენაში, აქედან კი — სალიტერატუროშიც (განსაკუთრებით, პრესის ენაში) უმართებულო გამოთქმები წარმოშვა. მაგ.: „...ინგლისურ ენაზე **იბეჭდებიან** ცნობილი საბჭოთა მათემატიკოსები“ („კომ.“); „ახალგაზრდა ავტორები კი... **იბეჭდებიან** „ცისკრის“ ფურცლებზე“ („ახ. კომ.“); „გ. მდივანი სისტემატურად **იბეჭდება** რესპუბლიკის სხვადასხვა ყურნალ-გაზეთებში“ („თბილ.“); „ვალერიან მამუკელაშვილი ხშირად **იბეჭდებოდა**... ჩვენი ყურნალის ფურცლებზე“ („ნიანგი“); „იმ ხანად გამოდიოდა ლიტერატურული ყურნალი, რომელშიც სისტემატურად **იბეჭდებოდა** პოეტების ერთი ჯგუფი“ („დროშა“); „მას შემდეგ ახალგაზრდა პოეტი ქალი სისტემატურად **იბეჭდება** რესპუბლიკის ყურნალ-გაზეთებში“ („სოფლ. ცხოვრ.“).

იშვიათ შემთხვევაში სულიერის აღმნიშვნელი სახელი **ბეჭდავ** ზმნის პირდაპირ ობიექტადაც კი არის გამოყენებული, განსაკუთრებით, სტილიზებულ მეტყველებაში: „...ყურნალებში უნდა გავდეთ ნაცნობების წრე, სადაც თქვენ არასოდეს არ **გბეჭდავენ**“ („ნიანგი. ბიბკა“). ანალოგიური ვითარებაა **იბეჭდება, ბეჭდავენ** ზმნათა სინონიმური სტამბავენ, ისტამბება ზმნების გამოყენებასთან დაკავშირებით: „მას **სტამბავენ** სტამბულ-სტოკჰოლმში, პარიზ-ვაშინგტონ-ლონდონში“ (იქვე).

გამოსახატავი აზრი ორგვარად შეიძლება გადმოიცივს: 1. ორპირიანი გარდამავალი ზმნით **ბეჭდავს/სტამბავს**, როდესაც სუბიექტი სულიერი სახელია, ხოლო პირდაპირი ობიექტი — უსულო. მაგ.: **მწერალი** (ავტორი...) **ბეჭდავს/სტამბავს წიგნს** (ლექსს, მონოგრაფიას, სტატიას...); 2. ერთპირიანი ზმნით — **იბეჭდება/ისტამბება**, რომლის ქვემდებარე უსულო სახელია, ხოლო მართული მსაზღვრელი — სულიერი. მაგ.: **იბეჭდება/ისტამბება მწერლის** (ავტორის...) **წიგნი** (ლექსი, მონოგრაფია, სტატია...).

რაც შეეხება ნაცვალსახელებს, პირველ შემთხვევაში ქვემდებარე გადმოიციემა პირის ნაცვალსახელით (იგი ბეჭდავს ნარკვევას), მეორეში კი — კუთვნილებითით (იბეჭდება მისი ნარკვევი).

**იშყოფება** ზმნა ნიშნავს: არის, არსებობს (ვინმე რაიმე ადგილას, რაიმე მდგომარეობაში). იგი სტილისტიკურად შეფერილი სიტყვაა, ყველა კონტექსტს ერთგვარად არ მიესადაგება, კერძოდ, სწორადაა ნახმარი, მაგალითად, შემდეგ შემთხვევებში: „რად არ იგონებთ იმ წმინდა ადგილს, სადაც თორნიკე იშყოფებოდა“ (აკაკი); „ბლაჭიაშვილი იქ იშყოფება“ (ილია); „იმ განედზე, სადაც იმ დროს კოლუმბის ფლოტილია იშყოფებოდა, გამუდმებით ჰჭრის აღმოსავლეთის ქარები“ („ცისკ.“); „ხომალდი... ამჟამად კუბის ნაპირებთან იშყოფება“ („კომ.“).

მაგრამ თავის ადგილზე არ არის ნახმარი ეს სიტყვა შემდეგ კონტექსტებში: „ეს ჩვენი მამასახლისია, ჩვენი ჩაფრებია(!) ეგრე რომ გალაღებულან და ეზო-ეზო სახელმწიფო-გადასახადს ბოჭავენ. ვისაც ნაღდი არა აქვს, რა ჰქნას საწყალმა მამასახლისმა? ძროხა, გოჭი და ინდაური განა აქვე არ იშყოფებიან [უნდა იყოს: არიან,]“ ფულის მაგიერ იმათ მიეღალება და თუ საჭიროებამ მოითხოვა, ამათაც აღარ დასჯერდება“ (დ. შენგ.); „არანაკლებ მნიშვნელოვანია იაიც, რომ ცილები რძეში იშყოფებიან [უნდა იყოს: არიან, შედიან] კოლოიდური რძის სახით“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ადამიანის კვებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რძის ცხიმს, რომელსაც აგრეთვე კარგად შეითვისებს ორგანიზმი, რადგან მისი დნობის ტემპერატურა განსაკუთრებით დაბალია: 28-31 გრადუსი. ამდენად იგი იშყოფება [უნდა იყოს: არის] ემულსიის სახით“ („სოფლ. ცხოვრ.“).

ამ კონტექსტში უმართებულოდ არის გამოყენებული იშყოფება ზმნა, რომელიც უპირატესად ვინ ჯგუფის სახელებს შეეხამება, ისიც უეჭველად სივრცისა (და მდგომარეობის) ჩვენებით. ამიტომ არც ასეთი ხმარებაა გამართლებული: „მეორე ადგილზე იშყოფება [უნდა იყოს: არის] ქუთაისელი მ. ბუილიშვილი“ („თბილ.“). ეს ზმნა იმ შემთხვევაშიც გამოიყენება, როცა ნივთის აღმნიშვნელ სახელში (ხომალდი, თვითმფრინავი...) ადამიანებიც უსათუოდ იგულისხმებიან: „იმ განედზე... იმ დროს კოლუმბიის ფლოტილია იშყოფებოდა“ („ცისკ.“).

**ისტამბება**, ზმნის უმართებულოდ გამოყენების შესახებ სულერთა აღმნიშვნელ სახელებთან იხ. იბეჭდება.

**იძახის** ზმნა აღმოსავლური დიალექტების გავლენით სალიტერატურო ქართულში უმართებულოდ იხმარება ამბობს ზმნის მნიშვნელობით. იხ. უამბობს — მოუთხრობს — მოუყვება.

ბ

**კალმოსანი** წიგნური, მაღალფარდოვანი სიტყვაა. იგი მწერლის, ლიტერატორის სინონიმური მნიშვნელობით იხმარება, მაგრამ ამ სიტყვას ირონიული ელფერი დაჰკრავს, ამიტომ მისი გამოყენების სფერო მკაცრად განსაზღვრული კონტექსტებით შემოიფარგლება. **კალმოსანი** მწერლობას მიტმასნებული კაცია; იგი მრავალმხრივი და ზედმეტად პროდუქტიული (ამის გამო პრეტენზიულიც), მაგრამ სინამდვილეში მდარე ლიტერატურული პროდუქციის ავტორია.

**მწერალსა** და **კალმოსანს** შორის სტილისტიკური თვალსაზრისით ისეთივე მიმართებაა, როგორც **ხელოვანსა** და **ხელოსანს** შორის. ამ მნიშვნელობით **კალმოსანისათვის** ბუნებრივი კონტექსტებია: „ანდაზებში... უფრო მეტი სიბრძნეა, ვიდრე ზოგიერთი ჩვენი **კალმოსნების** ნაწერებში“ (აკაკი); „ლონდონელი **კალმოსნების** ფანტაზია ღვარძლითა და გესლით არის აღსაესე“ („სახ. ვან.“); „შესანიშნავი სიტყვებია, მედროვე, პოპულარობის მიძიებელი **კალმოსნებისაგან** რომ ასხვევებს ნამდვილ მწერალს“ („კომ.“); „უმჯობესია ჩვენი გულისწყრომის მახვილი აღვმართოთ იმ ენობრივ უმსგავსობათა წინააღმდეგ, რომლებიც ზოგიერთი უნიჭო და უწიგნური **კალმოსნის** წყალობით ფეხს იკიდებენ ჩვენს პრესასა და ლიტერატურაში“ („ლიტ. საქ.“); „ამას დაურთეთ იერიში იმ **კალმოსნებისა** და მოლექსეებისა...“ (ს. კლდ.). (თანამედროვე ქართულში **მოლექსეც** კალმოსანია. პოეტი შემოქმედია, **მოლექსე** — საღალტო ლექსთა მთხზველი).

ბოლო დროს სალიტერატურო ენაში არის ცდა **კალმოსნის** დადებითი მნიშვნელობით გამოყენებისა, თანაც, მას, როგორც მაღალფარდოვან სიტყვას, უპირატესობას ანიჭებენ ამ თვალსაზრისით ნეიტრალურ **მწერალ-** სიტყვასთან შედარებით. იმის გამო, რომ გათვალისწინებული არ არის სიტყვის სტილისტიკური შეფერილობა, ღირსეული და პატივსაცემი პიროვნების საბელი ჩვენდა უნებურად უხერხულ კონტექსტში ფიგურირებს. მიზანშეწონილი არ არის **კალმოსნის** გამოყენება ასეთ კონტექსტებში: „არაერთი გამოჩენილი რუსი **კალმოსანი** [უნდა ყოფილიყო: მწერალი] ყოფილა საქართველოსთან მჭიდროდ დაკავშირებული. მათ შორის არის ანდრე ბელიც“ („კომ.“); „ნათქვამი უხება გოგოლს? ბევრ სხვაგვარ უცნაურობებთან ერთად ასეთი რამაც სჩვეოდა დიდ **კალმოსანს** [უნდა ყოფილიყო: მწერალს]“ („სოფლ. ცხოვრ.“); „უბრალო მკითხველები აღფრთოვანებით ეგებებოდნენ სტრინდბერგის ქმნილებებს, მეცნიერები დასცინოდნენ მის იდეებს, ხოლო **კალმოსანი** თანამომენი უმეტესად მხარში ედგნენ — თუნდაც მისი უზარმაზარი ნაყოფიერების გამო“ („ლიტ. საქ.“). ბოლო

წინადადების **კალმოსანი თანამომქმენი** ყალბი მაღალფარდოვნების ნი-  
მუშია, ამასთან ირონიული ელფერის მქონე და, ამდენად, კონტექსტი-  
სათვის სავსებით შეუფერებელი. რამდენადმე უფრო ნეიტრალურია  
**თანამოკალმენი**, მაგრამ მოცემული სიტუაციისათვის არც ის გამოდგე-  
ბა, რადგან კონტექსტით არ ჩანს, რომ ყველა, ვინც სტრინდბერგს  
უჭერდა მხარს, მის შემოქმედებით მრწამსსაც იზიარებდა (**თანამო-  
კალმეს** კი მსოფლმხედველობრივი თანაზიარობის შინაარსობრივი ნი-  
უანსიც ახლავს). **კალმოსან თანამომქმეთა** ნაცვლად აჯობებდა ესმარათ  
ყოველგვარ მაღალფარდოვნებას მოკლებული, მაგრამ კონტექსტისა-  
თვის ზუსტი და შესაფერისი შესიტყვება **თანამედროვე მწერლები**  
(რომლებიც სტრინდბერგის შეხედულებებს შეიძლება ბოლომდე არც  
იზიარებდნენ, მაგრამ მას მხარს უჭერდნენ, როგორც ნიჭიერ კაცსა და  
ნაცოფიერ შემოქმედს).

**კამპანია — კომპანია.** თანამედროვე ქართულ სალიტერატუ-  
რო ენაში გამოიყენება ფრანგულიდან შემოსული ბგერობრივად მსგავსი,  
მაგრამ მნიშვნელობით განსხვავებული სიტყვები: **კამპანია** და **კომ-  
პანია**.

**კამპანია** (campagne) შემდეგნაირადაა განმარტებული ქეგლ-ში:  
1. სამხედრო ლაშქრობა, საომარი მოქმედება; 2. რომელიმე ერთ-  
დროული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამოცანის გადასაწყვეტად  
ჩატარებული ორგანიზებული საქმიანობა. სახელი **კამპანია** არაერთ  
მყარ გამოთქმაში იღებს მონაწილეობას: **საარჩევნო კამპანია**, **ანტირე-  
ლიგიური კამპანია...** უკანასკნელ ხანებში გაჩნდა ახალი შესიტყვებე-  
ბიც: **დოლის კამპანია** („არის ისეთი ხარვეზები, რაც ნამდვილად ხელს  
შეუშლის **დოლის კამპანიას**“, — „კომ.“), **საგამოცდო კამპანია** (საქარ-  
თველოს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდებისათვის მზა-  
დების აღსანიშნავად), **თესვის კამპანია**, **მოსავლის აღების კამპანია**,  
**ჟურნალ-გაზეთებზე ხელისმოწერის კამპანია...**

**კამპანია** სავსებით მართებულად და თავის აღივლითაა გამოყენე-  
ბული ასეთ მაგალითებში: „კრებამ პირველად დაიწყო წინა წლების  
ზოგიერთი დიდი **პოლიტიკური კამპანიისთვის** შეფასების მიცემა“  
(„კომ.“). „ჯ. კარტერმა თქვა, რომ **საარჩევნო კამპანიის** დროს აკრი-  
ტიკებდა რესპუბლიკურ მთავრობას“ („კომ.“); „ტრიუმფალური  
„სვლა“, როგორც ეს **დასავლეთის კამპანიის** დროს იყო, აღმოსავლეთ-  
ში აშკარად არ გამოუდიოდით პიტლერელებს“ („კომ.“); „გადაჭარბე-  
ბულია ყველა უწინდელი მაჩვენებელი მოსავლიანობისა და **მოსავლის  
აღების კამპანიის** ტემპის მიხედვით“ („თბილ.“).

მაგრამ ამგვარ შესიტყვეებებში ხშირად არასწორად ხმარობენ მსგავსად მქლერ, მაგრამ სემანტიკურად სრულიად განსხვავებულ კომპანია სიტყვას: „დაიწყო ხელმოწერის კომპანია“ („ახ. კომ.“ — სათ.).

კომპანია (compagnie) სიტყვის მნიშვნელობებია: 1. რამდენიმე ადამიანი, რომლებიც ერთად ატარებენ დროს, თანამესუფრენი; 2. ამხანაგობა სავაჭრო ან სამრეწველო. ამ სიტყვის სწორი მოხმარების მაგალითებია: „ჭკუასა და ენერგიას სკოლის გარეთ ხარჯავს, თავის მეგობართა კომპანიაში“ („ახ. კომ.“); „ჩვენს გვერდით მხიარული კომპანია შემოსხდომოდა სუფრას“ (დ. ჭიჭ., თარგმ.); „იმ დამეს დილამდე ბანქოს თამაშობდა მრავალრიცხოვან კომპანიაში“ (ნ. ძოწ., თარგმ.) და სხვ.

კომპანია ქართულში რუსულის გზითაა შემოსული, რუსულში კი უმახვილო *о-*ს გამო ეს სიტყვა კამპანიად წარმოითქმის. ასევე შევიდა იგი ქართულ სასაუბრო მეტყველებაში. სალიტერატურო ენაში კი მისი ამ ფორმით ხმარება სასაუბრო მეტყველების გავლენის შედეგია. ეს შეცდომები ყველგან უნდა აღმოიფხვრას. დარღვევის შემთხვევები კი არცთუ იშვიათია ძირითადად თარგმნილ ლიტერატურასა და პრესაში: „სვამენ, როცა თავს ვერ აღწევენ ცუდ კამპანიას“ („ახ. კომ.“); „მიყვარს... თეთრკანიანი მეგობრების კამპანიაში სმა“ (ვ. მჭედლ., თარგმ.); „რესტორანში, სადაც სავახშმოდ შევედით, რომელიღაც სრულიად უცხო კამპანიაში მივებატყეს“. (ა. კიკნ.); „საერთოდ ჩვენს კამპანიაში ქალს არ ვაჭაჭანებდით“ („ახ. კომ.“); „კამპანია ვამიწიე, თორემ ხომ იცი, ნათქვამია, მართო კაცი ჭამაშიაც შესაბრაღისიაო“ („ცისკ.“) და შრ. სხვ.

შედარებით იშვიათია, მაგრამ მაინც გვხვდება საპირისპირო სახის აღრევა, ე. ი. კამპანიის მაგვირად კომპანია: „ყოველი მნიშვნელოვანი კომპანიისას ეწყობა რეიდები რედაქციისთან ერთად“ („სოფლ. ცხოვრ.“);

კომპანია სიტყვის მონაწილეობით ბუნებრივი შესიტყვეებები იქნება: მხიარული კომპანია, ცუდი კომპანია, მეგობრების კომპანია, ჩვენი (თქვენი, მათი) კომპანია, უცხო კომპანია, კომპანიის გაწევა და ა. შ.

ამგვარად, კამპანია და კომპანია პარონიმული სიტყვებია და მათი გამოყენებისას აღრევის თავიდან ასაცილებლად თითოეულის მნიშვნელობა კონტექსტის შესაბამისად არის გასათვალისწინებელი.

**კანონზომიერი — კანონიერი.** საერთო ფუძის მქონე ამ სიტყვებს საფუძვლად უდევს კანონის სხვადასხვა მნიშვნელობა. კანონი არის: 1. საგნებსა და მოვლენებს შორის არსებული მუდმივი და უცილობელი კავშირი, ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც დასტურ-

დება ბუნებისა და საზოგადოების შემეცნების პროცესში, — კანონ-  
ზომიერება. მაგ.: საზოგადოების განვითარების კანონები, აზროვნების  
კანონები; 2. საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ დადგენილი სა-  
ყოველთაოდ სავალდებულო ნორმა (წესი), რომელიც ეხება სახელ-  
მწიფოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ მხარეს. მაგ.: შრომის შესახებ  
არსებულ კანონთა კრებული.

ამის მიხედვით, **კანონზომიერია** ის, რაც **კანონის** პირველი მნიშე-  
ნელობიდან გამომდინარეობს, მისი შესაბამისია (მაგ.: თაობათა ცვლა  
**კანონზომიერი** პროცესია), და **კანონიერია** ის, რაც **კანონის** მეორე  
მნიშვნელობიდან გამომდინარეობს (მაგ.: **კანონიერი** სურვილი, **კანო-  
ნიერი** მოთხოვნა...).

შესაბამისად, **არაკანონზომიერია** ის, რაც არ გამომდინარეობს  
**კანონის** პირველი მნიშვნელობიდან, არ არის მისი შესაბამისი (მაგ.:  
კაპიტალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელია საწარმოო  
ძალთა და წარმოების საშუალებათა **არაკანონზომიერი** განვითარება);  
**არაკანონიერია** ის, რაც არ გამომდინარეობს, არ შეესაბამება **კანონის**  
მეორე მნიშვნელობას. ე. ი. კანონთან შეუთავსებელი, **კანონის** საწინა-  
აღმდეგო, — უკანონო (მაგ.: **არაკანონიერი** მოთხოვნა, **არაკანონიე-  
რი** ხარჯები, **არაკანონიერი** საქციელი).

**კანონზომიერისა** და **კანონიერის**, **არაკანონზომიერისა** და **არაკა-  
ნონიერის** საერთო წარმომავლობა ენაში მათი აღრევისა და უმართე-  
ბულოდ გამოყენების საფუძველს ქმნის. მაგალითად: „ლიფტის“ მე-  
ქანიკოსი შაბათ-კვირას **კანონზომიერად** ისვენებს და მასთან ერთად—  
ლიფტიც. სამაგიეროდ ჩვენ ვეჩვენებთ კიბეზე მუხლების გაძლიერებული  
ვარჯიში“ („თბილ.“). ლიფტის მექანიკოსს **კანონით** აქვს მინიჭებუ-  
ლი უფლება შაბათ-კვირას დაისვენოს, ე. ი. მისი მოქმედება **კანონის**  
შესაბამისია, **კანონიერია** (და არა **კანონზომიერი**).

„ფიდე-ს პრეზიდენტის მოქმედება **არაკანონზომიერია**“ (ლელო“  
— სათ.); „ჩვენ წინადადება წამოვაყენეთ, რომ ჭადრაკის საერთაშო-  
რისო ფედერაციის რიგგარეშე კონგრესის... დღის წესრიგში შეიტა-  
ნონ მსოფლიო პირველობაზე [აჯობებდა: პირველობის] მატჩის აღ-  
ვილის შერჩევის დროს ფიდე-ს პრეზიდენტის — მაქს ეივეს **არაკა-  
ნონზომიერი** მოქმედების საკითხი“ (იქვე). ამ ინფორმაციის მიხედვით,  
ფიდე-ს პრეზიდენტმა არ დაიცვა საჭადრაკო ფედერაციის წესდება  
(რაც აუცილებელი იყო) და საკითხი ერთი მხარის სასარგებლოდ გა-  
დაწყვიტა. ამიტომ მისი მოქმედება **კანონს** ეწინააღმდეგება, — **არაკა-  
ნონიერია** (და არა: **არაკანონზომიერი**).

**კეთილშობილი; კეთილშობილური** თვისების აღმნიშვნელი  
სიტყვებია. ამათგან პირველადია **კეთილშობილი**, მისგან -ურ სუფიქ-

სის დართვით ნაწარმოებია **კეთილშობილური**. ამ სიტყვათა სემანტიკა მკვეთრადაა გამოიჯნული თანამედროვე ქართულში: **კეთილშობილი** მსაზღვრელად იხმარება მხოლოდ ადამიანის აღმნიშვნელ სახელებთან (იმის გამო, რომ სიტყვა **კეთილშობილი** მუდამ ადამიანთან იყო დაკავშირებული, რქტომბრის რვეოლუციამდე იგი თავადის, აზნაურის, მაღალი წოდების პირთა სინონიმაც კი იხმარებოდა). მეორე მხრივ, **კეთილშობილი** არის ის, ვისაც ახსიათებს მაღალადამიანური თვისებები: ზნეობრივი სიფაქიზე, დიდსულოვნება... კაცთმოყვარეობა, პატიოსნება; ზოლო **კეთილშობილური** კი გულისხმობს კეთილშობილის თვისებას, რომლითაც ხასიათდება ადამიანის რაიმე გრძნობა, ფიქრი თუ ქმედება.

ამის შესაბამისად, თანამედროვე ქართულში გვაქვს ასეთი დაპირისპირება: **კეთილშობილი ადამიანი** (კაცი, ქალი, ბავშვი) და **კეთილშობილური გრძნობა** (თვისება, საქციელი, განზრახვა, საქმე და ა. შ.): „**კეთილშობილი** კაცის ნიღბის მეორე მხარეს გაუსაძლისი ტკივილია“ („ცისკ.“); „რაგინდ **კეთილშობილური მიზანდასახულობისა** და შემეცნებითი ღირებულებისაც უნდა იყოს თხზულება — ხელოვნების ნიმუშად იგი ვერ ჩაითვლება“ („ქელ სკოლაში“); „სწორედ **კეთილშობილური სისადავის წყალობით** აღწევს იგი ძალუმ ზემოქმედებას“ („კომ.“); „ეს არის **კეთილშობილური სისადავე**“ („კომ.“); „ფრიად **კეთილშობილური საქმეა**“ („კომ.“); „**კეთილშობილურია სურვილი**“ („ცისკ.“); „ადამიანზე ზრუნვა, მართლაც, ყველაზე **კეთილშობილური საქმეა**“ („სოფლ. ცხოვრ.“).

მაგრამ თანამედროვე ქართულში გვხვდება შემთხვევები ამ განსხვავებული სემანტიკის მქონე სიტყვათა მონაცვლეობისა: იშვიათად **კეთილშობილური** მსაზღვრელად ახლავს ადამიანის სახელსაც: „რამდენად **კეთილშობილურია სვიმონ ჩოფიკაშვილი**“ („ქართ. ლიტ.“). სვიმონ ჩოფიკაშვილი ვინ ჯგუფის სახელია, ამიტომ მის მსაზღვრელ სახელად უნდა ახლდეს **კეთილშობილი**.

უფრო ხშირია მეორე რიგის დარღვევები: **კეთილშობილი** იხმარება კონტექსტებში, რომლებშიც მოსალოდნელია ამ სიტყვის -ურ სუფიქსიანი ფორმა. მაგ.: „...ეს კიდეც ერთი **კეთილშობილი საქმის** დასაწყისია“ („კომ.“); „სევედა **კეთილშობილი გრძნობაა**“ („ცისკ.“); „თემანზე **მუშაობა** საინტერესო და **კეთილშობილია** ლიტერატურისათვის“ („თბილ.“); „ეს **კეთილშობილი საქმე** უნდა გახდეს ჩვენი დიდი საზრუნავი“ („თბილ.“); „ალ. ქავჭავაძე უმღერის **კეთილშობილი, ფაქიზი და ბუნებრივი სიყვარულის გრძნობას**“ („ქართ. ლიტ.“); „ვისმეს რომ... ეთავა ეს **კეთილშობილი საქმე**“ („თბილ.“); „განუხორციელებელი დატოვა მრავალი მისი **კეთილშობილი განზრახვა** და შთანა-

ფიქრი“ („ქართ. ლიტ.“); „მკითხველში მათ უნდა აღძრან კეთილშობილი წარმოდგენები“ („ქართ. ლიტ.“); „სიყვარული დიადი, კეთილშობილი მოვლენა“ („ქართ. ლიტ.“); „ჩვენი ხუროთმოძღვრული მატრიანე... შთაგონებული ექთა ისტორიის, ექთ კეთილშობილი მიზნით გაერთიანებული ქართველი და რუსი ხალხის დიდი ურთიერთობისა“ („თბილ.“); „საერთოდ ყველა კეთილშობილ გრძნობას ცვლის კუჭი, სიცრუე, ცბიერება და ანგარება“ („ქართ. ლიტ.“); „აბდუშაპილის ეს კეთილშობილი თვისებები მწერალმა დააგვირგვინა მისი წარმომშობის საიდუმლოების განხნით“ („ქართ. ლიტ.“); „ეს კეთილშობილი საქმიანობა შეწყდა მხოლოდ რემონტის დროს“ („თბილ.“); „იგი ... ემსახურება ჩვენი მოზარდი თაობის აღზრდის კეთილშობილ მიზანს“ („უცხო სკოლაში“).

გრძნობა, მუშაობა, საქმე, სიყვარული, განზრახვა, წარმოდგენები, მოვლენა, მიზანი, თვისებები, საქმიანობა რა ჯგუფის სახელებია და მსაზღვრელ სახელად მათ უნდა შეეწყოს სიტყვა კეთილშობილური.

**კვბლი.** სიტყვა კვალი თავისი ძირითადი მნიშვნელობითაა ნახშიარი შემდეგ გამოთქმებში: (ხნულის) კვალი გაავლო, კვალს დატოვებს და ა. შ. ეგვევ სიტყვა ფიგურალური გამოთქმების წევრადაც გვევლინება ზემოთ დასახელებულ ზმნებთან: კვალს გაავლებს, კვალს დააჩნევს, კვალს დატოვებს, კვალი დაეტყო, რაც ნიშნავს: თვალსაჩინო შედეგს მიაღწევს, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს რამეში, რაიმე მოვლენა უკვალოდ არ ჩაივლის. მაგალითად: „ამ სიყვარულმა პოეტის შემოქმედებაში ღრმა კვალი გაავლო“ („ქართ. ლიტ.“); „გულგრილობის კვალი აჩნია... სატყეო მეურნეობის ეზო-გარემოს“ („კომ.“); „ქვეყნის წარმატებამ და წარუმატებლობამ საუკუნეების მანძილზე კვალი დააჩნია თითოეულ მათგანს“ („თბილ.“); „ამ... დღეებმა წარუშლელი კვალი დატოვეს ახალგაზრდა პოეტის სულიერ სამყაროზე“ („ქართ. ლიტ.“).

სიტყვა კვალს მსაზღვრელად შეიძლება ახლდეს ღრმა, უდიდესი, წარუშლელი და ა. შ.: „რუსეთში გატარებულმა წლებმა და სწავლამ უდიდესი კვალი დატოვა ქართველი ახალგაზრდობის შეგნებაში“ („ქართ. ლიტ.“); „მან ღრმა კვალი დააჩნია ჩვენი სულიერი ცხოვრების ყველა სფეროს“ („ქართ. ლიტ.“); „საბჭოთა აგროქიმიური მეცნიერების ფუძემდებლების... გვერდით მოღვაწეობამ წარუშლელი კვალი დააჩნია ი. სარიშვილის... საქმიანობას“ („კომ.“).

მაგრამ ზოგჯერ კვალის მსაზღვრელად სემანტიკურად შეუფერებელი სიტყვები გამოიყენება, რაც ქართულისათვის არაბუნებრივ შესამებებს ქმნის. მაგ.: „ცხოვრებას ვერ დააჩნის ძლიერი [უმჯობესია: ღრმა] კვალი“ („ქართ. ლიტ.“); „ვენახსაც იმედის კვალი დაეტყო



[აჯობებდა: კარგი პირი უჩანს, ან: მზრუნველი ხელი დაეცყო]“ („კომ.“).

კვალი შეიძლება ძლიერად გაეავლოთ, დავატყოთ, დავაჩნოთ, მაგრამ თვით კვალი არ შეიძლება ძლიერი იყოს. მეორე მხრივ, კვალი წარსულის სემანტიკის შემცველია, იმედი კი — მომავლისა. ამრიგად, ურთიერთგამომრიცხავი მსაზღვრელი და საზღვრული შესიტყვებაში ვერ დაუკავშირდება ერთმანეთს.

**კვალს დაასვა მს. დაასვა მს.** ზმნასთან სინტაგმას ქმნის სიტყვა დალი: დაღს დაასვა მს. ამ ზმირად სახმარი მყარი შესიტყვების პირდაპირი მნიშვნელობაა: დაღს დაპკრავს, დაღს დააჩნევს, დადაღავს. იგი უპირატესად გადატანითი მნიშვნელობით იხმარება. ნიშნავს: ღრმა კვალს დააჩნევს, თავის ანაბეჭდს დატოვებს რამზე. კვალ-სიტყვასთან კი ბუნებრივ შესიტყვებას ქმნის შემდეგი ზმნები: დატოვა, დაატყო, დააჩნია: კვალს დაატყობს, კვალს დააჩნევს, კვალს დატოვებს, რაც ნიშნავს: თავის ნიშანს დააჩნევს, დატოვებს ნაშთს. გადატ. თვალსაჩინო შედეგს მიიღწევს, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს რამეში.

ამ შესიტყვებათაგან რომელიმე უნდა გამოეყენებინათ შემდეგ წინადადებაში: „ამ მიზეზებმა წარუშლელი კვალი დაასვა [სწორია: დაღი დაასვა, კვალი დაატყო, კვალი დააჩნია] მერმინდელი საუკუნეების პროზას“ („ლიტ. საქ.“).

ჭართული ენისათვის უჩვეულო შესიტყვება კვალი დაასვა მიღებული უნდა იყოს ორი ბუნებრივი გამოთქმის (კვალს დაატყობს და დაღს დაასვა მს) შერწყმის შედეგად.

**კინო** ზმირად სახმარი სიტყვაა. გავრცელებულია ასეთი ფრაზები: „წუხელ კარგი კინო ვნახეთ“; „ასეთი კინო ჯერ არ მინახავს“; „ნახე ახალი კინო?“ და სხვ.

კინო სიტყვას ორი მნიშვნელობა აქვს: 1. კინემატოგრაფია, ხელოვნების დარგი, კინოხელოვნება და 2. კინოთეატრი, რომელშიც ფილმების დემონსტრაცია ხდება (მაგ.: „პირველად გადაეწყვიტე უცხო ვაჟს კინოში წაგყოლოდი“, — „ახ. კომ.“).

რაც შეეხება თვით კინობროდუქციას, ნაწარმოებს, ის არის ფილმი, კინოფილმი, კინოსურათი (ან სურათი) და არა კინო. მაგ.: „მე კინოსურათიც მაინტერესებს“ („ახ. კომ.“).

როგორც სასაუბრო, ისევე სამწერლო ენაშიც დღეს მეტად ხშირია კინო სიტყვის გამოყენება ფილმის, სურათის მნიშვნელობით. მაგ.: „გია და ნოდარი დღეს კინოს სანახავად წავიდნენ“ („საქ. ჟალი“); „კინო დაიწყო“ („ახ. კომ.“); „სოფლის მეცხოვრებლებმა ახლა საშუალება მიიღეს რეგულარულად ნახონ კინო“ („ახ. კომ.“); „ბანობაც

მალე მოგვებზრდა, მაღაზიის წინ მზესუმზირას კნაწა-კნუწი და, ძნელი დასაჯერებელი კია, „ბაში-აჩუქის“ კინოზე სიარულიც“ („ცისკ.“); „ამ წუთში ყველაფერმა ფასი დაკარგა, — კინომაც, რომელიც ძალიან მაინტერესებდა“ („ახ. კომ.“).

ყველა ამ შემთხვევაში უნდა ეხმარათ ფილმი, სურათი ან კინო-სურათი.

**კოლეგა** ლათინური წარმოშობის (collega) საერთაშორისო სიტყვაა და სამსახურის, პროფესიის მიხედვით ამხანაგის აღსანიშნავად იხმარება. **კოლეგა** უპირატესად წიგნის ენისთვისაა დამახასიათებელი, რაც შეპირობებულთა მისი წარმოშობით, თავდაპირველად ამ სიტყვის ინტელიგენციის წრეში იყენებდნენ, — უპირატესად ექიმებს, მასწავლებლებს, იურისტებს შორის.

თანამედროვე მეტყველებაში **კოლეგამ** მოხმარების არე გაიფართოვა, მაგრამ მისი ნებისმიერი, თავისუფალი გამოყენება ზოგადად თანამოსაქმის მნიშვნელობით გაუმართლებელია. **კოლეგები** ისეთი თანამოსაქმეები არიან, რომელთა საქმიანობა არსებითად გონებრივ სფეროსთანაა დაკავშირებული. ამდენად, არ უნდა იყოს გამართლებული **კოლეგა** სიტყვის გამოყენება საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვადასხვა ობიექტის ხელოსნების, ერთნაირი ხელობის ადამიანთა აღსანიშნავად, რომელთა სამუშაოში არ ჰქარბობს გონებრივი შრომა. მაგ.: „მისი **კოლეგა** თბილქალაქაფორმების“ კომბინატიდან — ქალაქის მთავარი მესაათე გ. აკოპიანი საათს პრინციპულად არ ატარებს“ („თბილ.“); ტანსაცმლის ინდკერვის № 23 ატელიეს მოწინავე გამომჭრელი წერს: „ათასობით **კოლეგის** აზრს გამოვხატავ, თუ ვიტყვი, რომ მოდით, დღეიდან, ამ წუთიდან, დავიწყეთ საეტაპო შემობრუნება, ნურც ერთ უღირსს ნუ ვიგუებთ ჩვენს გვერდით, საკუთარი ოჯახივით გავეფრთხილდეთ დარგის პრესტიჟსა და ავტორიტეტს... ზოგიერთი ჩვენი **კოლეგა** აბუჩად იგდებს საზოგადოების ინტერესებს, ვერა და ვერ დათრგუნა საკუთარ თავში სიხარბის, გამოძალვის სამარცხვინო გრძნობები“ („თბილ.“); „ხელოსნებს არ უყვართ, საერთოდ, როცა მუშტართან ჩხუბში **კოლეგა** შეესწორებათ“ (რ. მიშვ.).

სრულიად დაუშვებელია **კოლეგა** სიტყვის გამოყენება ერთნაირი მდგომარეობის ანდა მისწრაფების მქონე ადამიანთა აღსანიშნავად. შდრ.: „ბევრი ღვინის მოყვარული მძლოლი კრიტიკულად ჩაჰფიქრებია საკუთარ ნამოქმედარს და მტკიცე ფიცი დაუდია ალკოჰოლის სამუდამო უკუგდებაზე, ვაყკაცურადაც შეუსრულებია, სხვა მასავით ღვინის მოყვარული **კოლეგებისთვისაც** [უნდა იყოს: მძლოლებისთვისაც, ამხანაგებისთვისაც, ადამიანებისთვისაც] ურჩევია და ხელი აუღლებინებია ამ ფარულ მტერთან მეგობრობაზე“ („თბილ.“); „მაგრამ წვიმა

ვერას დაგვაკლებს, თუ გვაქვს ქოლგა: სანაპიროს ბულვარზე ყოველგვარი ბაასი შეიძლება დამსვენებელ კოლეგებთან (?!), რომლებსაც სჯერათ, რომ ანდაზა „გულხელდაკრეფილი ელოდეთ“ (!) — სწორედ ბათუმს ეხება“ („თბილ.“).

შენიშნება, რომ კოლეგა უხერხულ შესიტყვებებს ქმნის აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, როცა იგი გამოყენებულია არა სამსახურის ანდა პროფესიის მიხედვით ამხანაგის აღსანიშნავად, არამედ საერთო მოწოდების, გატაცების, ერთნაირი დამსახურების, ტიტულის მქონე პირთა აღსანიშნავად. მაგ.: „იგი [ივანე წიკლაური] ასე დაიტირა მისმანვე კოლეგამ, მისმანვე მეზობელმა, ცნობილმა მეღექსემ იოსებ ბალიაშვილმა“ (ტელეგად.); „...ქართველი ჩიბურდანიძე ისეთივე დიდი მსოფლიო ჩემპიონია, როგორც მისი რუსი ვაჟი კოლეგა გაზღავთ“ („კომ.“); „კოტე და ნიკო ასე ჩქარ სიარულს არ იყენებ მიჩვეულნი. სირბილით მიჰყვებოდნენ განთქმულ მონადირეს. ბესარიონი წინ გაიჭრებოდა, მაგრამ კოლეგებს ხომ ვერ მიატოვებდა...“ (რ. მიშვ.); „ქუჩაში შეგვდებოდით სტუდენტ ვაჟებსაც, რომელთაც მხარზე ხელი გადაედოთ თავიანთი მომავალი მეორე ნახევრებისთვის და ყვავილებდატყეპნილი პარკის იმ მოფარებული მერხისკენ მიიჩქაროდნენ, რომელიც თითქმის ყოველთვის დაკავებული იყო მათივე სულიერი კოლეგების მიერ“ (რ. მიშვ.).

უმართებულთა კოლეგის გამოყენება ერთი სახეობის სპორტსმენთა მიმართაც; შდრ.: „გადაწყვეტილი მაქვს არ ჩამოვრჩე ქართველ კოლეგებს [უნდა იყოს: სპორტსმენებს] და აქტიურად ჩაეება მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლაში“ („ლელო“); „ჩვენი ფეხბურთელები, თბილისის „დინამოს“ მთელი კოლექტივი, სულითა და გულით უსურვებს გამარჯვებას თავის მოსკოველ კოლეგებს [უნდა იყოს: სპორტსმენებს, ფეხბურთელებს], მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელებს“ (ტელეგად.); „დიდი სპორტსმენი ხომ ლიდერია თავის საქმეში, რომელსაც მხარს უსწორებენ არა მარტო კოლეგები [უნდა იყოს: სპორტსმენები], არამედ ზოგჯერ მილიონობით ადამიანიც მოელ მსოფლიოში“ („თბილ.“).

კოლეგა სიტყვა ვერ იგულებს მსაზღვრელის ფუნქციით გამოყენებას, ვინაიდან ამ სიტყვის შინაარსში მთელი შესიტყვება (მსაზღვრელსაზღვრული) იგულისხმება: სამსახურის ამხანაგი. არ შეიძლება: ჩემი, შენი, მისი კოლეგა მსახიობი, კოლეგა ექიმი, კოლეგა მწვრთნელი და მისთ. მაგ.: „სურათზე: სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი პ. ბურჯანაძე კოლეგა მწვრთნელებთან [უნდა იყოს: თავის კოლეგებთან] საუბარში“ („თბილ.“). უხერხული შესიტყვებაა „ორმაგი კოლეგაც“ (თუნდაც ბრჭყალებში ჩასმული!): „და მაშინ თქვა სწორედ

ცნობილი მსახიობის „ორმაგმა კოლეგამ“, მსახიობმა და კომენტატორმა, კოტე მახარაძემ...“ („ახ. კომ.“). კოლეგა სიტყვის ასეთი დაუდევარი ხმარების ლოგიკური შედეგია ამ სიტყვის გამოყენება მნიშვნელობის თვალსაზრისით სრულიად ალოგიკურ შესიტყვებაში: „ამიერიდან პიანინო „ივერია“ გარეგნული გაფორმებით არ ჩამორჩება თავის „კოლეგებს“ ქვეყნის სხვა ფაბრიკებიდან“ („თბილ.“). საეჭვოა, კოლეგა სიტყვის ბრჭყალებში ჩასმა ხსნიდეს კონტექსტის უხერხულობას.

**კონკურსი** არის შეჯიბრება, რომლის მიზანია მონაწილეთა შორის საუკეთესოების გამოვლინება. **კონკურსი** ცხადდება ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად, საუკეთესო მუსიკოს-შემსრულებლის, საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად, საუკეთესო ძეგლის, შენობის პროექტის, სიმღერის, ნარკვევის, საბავშვო მოთხრობის... შესაქმნელად. ამავე მნიშვნელობით გვხვდება **კონკურსი** უსულო საგნის აღმნიშვნელ სახელთა -თვის თანდებულებიან ფორმებთან: **კონკურსი** საუკეთესო სიმღერისათვის, სახლის პროექტისათვის, ნარკვევისათვის, საბავშვო მოთხრობისათვის... **კონკურსი** გარკვეული მიზნით ცხადდება, დასახელებული კონსტრუქციები სავსებით შეესაბამება გადმოსაცემ შინაარსს: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო სამთო მექანიკის ინსტიტუტი აცხადებს **კონკურსს** შემდეგი **ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად**“ („თბილ.“); „საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს **კონკურსს... საშტატო ერთეულების დასაკავებლად**“ („თბილ.“).

მართებულ შესიტყვებათა გვერდით პრესის ენაში გვხვდება კალკირებული კონსტრუქცია — **კონკურსი თანამდებობაზე**, რაც სალიტერატურო ენის ნორმის დარღვევად უნდა იქნეს მიჩნეული: „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-პედაგოგიური, კლინიკურ-ექსპერიმენტული რესპუბლიკური ცენტრი აცხადებს **კონკურსს** სამეცნიერო ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის **თანამდებობაზე** [უნდა იყოს: ...მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად]“ („თბილ.“); „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიური ინსტიტუტი აცხადებს **კონკურსს** უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის **ვაკანტურ თანამდებობაზე** [უნდა იყოს: ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად]“ („თბილ.“); „თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს **კონკურსს... ქართული და რუსული ენების კათედრაზე** [უნდა იყოს: კათედრის] ქართული ენის მასწავ-

ლებლის 2 საშტატო ერთეულზე [უნდა იყოს: ... 2 საშტატო ერთეულის დასაკავებლად]“ („თბილ.“); „...სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ლათინური ენის კათედრაზე [უნდა იყოს: კათედრის] მასწავლებლის საშტატო ერთეულზე [უნდა იყოს: ... ერთეულის დასაკავებლად]“ („თბილ.“).

**კორექტული — კორექტურული** პარონიმული ზედსართავი სახელებია და თანამედროვე სალიტერატურო ქართული მათ სრულიად განსხვავებულ კონტექსტებში იყენებს. **კორექტული** შეიძლება იყოს ქცევა, მოქმედება, საუბარი, დამოკიდებულება ადამიანებს შორის... გამონათქვამში **კორექტული ადამიანი** იგულისხმება დახვეწილი, თავზაიანი, ქცევის ნორმების ზედმიწევნით დამცველი ადამიანი. **კორექტურული** კი შეიძლება იყოს მხოლოდ **შეცდომა**, შემჩნეული მანქანაზე გადაბეჭდილ ან სტამბურად აწყობილ ტექსტში (მაგ.: „ჩემი, როგორც **კორექტორის**, მოვალეობა იყო რედაქციაში წარმოდგენილი სტატიების გასწორება სტამბაში აწყობის შემდეგ“ („ლიტ. საქ.“); „გაზეთის მორიგი ნომრის მასალები აწყობილია, **კორექტურა ჩასწორებული**“ („ცისკ.“); „ვახტანგის გამოცემის **კორექტურული** შეცდომები ეჭვმიუტანლად გადმოდიოდა შემდგომს გამოცემებში“ (ივ. გიგინ., „ვეფხ.“).

ამ ორი, განსხვავებული სემანტიკის მქონე ზედსართავის ერთმანეთში აღრევა ენობრივი შეცდომაა. ამიტომ არ არის სწორი: „თუ კაპიტანი ძალზე „გულფიცხ“ თანაგუნდელებს პირადი მაგალითით, უზადო **კორექტურული** [უნდა იყოს: კორექტული] ქცევით არ დააწმინდებს...“ („ახ. კომ.“); „...ხუთეულის საზრიანობამ და **კორექტურულმა** [უნდა იყოს: კორექტულმა] **მოქმედებამ** უვნებელყო საშიში ბოროტ-მოქმედი“ („გამარჯვ.“).

**კული ყავარზე აქვს გადაბული** გავრცელებული გამოთქმაა როგორც სალიტერატურო, ისე სასაუბრო ენაში. ნიშნავს: ამპარტავნობს, მედიდურობს, დიდგულობს, ადვილად არაფერს კადრულობს, დიდად მოაქვს თავი, ქედმაღლობს, თავს იფასებს.

ეს ცნობილი გამოთქმა უხმარიათ რამდენადმე შეცვლილი სახით: **კული ყავარზე გადო**, თანაც, სულ სხვა, კერძოდ, **გაჭიუტდა-ს** შინაარსით: „— კაი, ახლა, კაცო, ჩამოდი!... — კი არ ვეჩეუწები, ვემუდარები, მაგრამ ამ წყუელმა რადგან ერთხელ **გადო კული ყავარზე**, რას ჩამოიღებს! დაახრჩე თუ გინდა, რაც არ უნდა — არ უნდა! დადგა გაჭირზე მისი ჯორივით და არაა საშველი“ (დ. შენგ.); „ამ ამბის გაგონებაზე ჩემმა ცოლმა ჭკა ააგდო და თავი შეუშვირა, მაგრამ მე რომ **კული ყავარზე გავდე** და გავეჭიუტდი, არ იქნა მერე მისი ძირს ჩამოღება“ (დ. შენგ.). „სოლომონი ზედავდა, რომ გულზვიად კაცია დადიანს“

სული კბილით ეჭირა, როდის უზრუნველყოფდა თავის სამთავროს უშიშროებას და რადგანაც ძალა იმერეთის მზარეზე იყო, **კუდი ყავარზე გახდო** — დაზავების საფასურად მისი ჯარების მიერ სანახევროდ უკვე დაკავებული ლეჩხუმი მოითხოვა“ (რ. ჯაფ.).

ამ წინადადებებში **კუდი ყავარზე გახდო** (გავდე) ნიშნავს: გაჯიუტდა (გავჯიუტდი), გაჯიქდა, ნათქვამი აღარ გადათქვა, დაიჩემა... ამგვარი მნიშვნელობით კი აღნიშნული გამოთქმის ხმარება სალიტერატურო ენის ტრადიციისათვის მიუღებელია.

**კუთხური** ნაცვლად **კუთხური დარტყმისა** მსაზღვრელ-საზღვრულის ზებირი გზით გამარტივების შედეგია. სალიტერატურო ენაში ამგვარი ფაქტების შეფასებისათვის იხ. **უმალღესი**.

**კურსი** და **გეზი** მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვებია. იხ. **გეზი, კურსი**.

## ლ

**ლაფი გადაავლო**. თანამედროვე ქართულში გავრცელებული გამოთქმებია, ერთი მხრივ, იდიომური გამოთქმა **თავლავის დასხმა**, **ლაფი დაასხა თავზე**, **ლაფში ამოხვარა** (საქვეყნოდ შეარცხვინა, თავი მოსჭრა, ძალიან შეარცხვინა) და, მეორე მხრივ, თავისუფალი შესიტყვება **წყალი გადაავლო** (წყალი დაასხა, წყლით გარეცხა). ამ გამოთქმების ასოციაციით ჩანს შეთზული პრესის ენაში დადასტურებული შესიტყვება **ლაფი გადაავლო**: „აღშფოთებით დაგმეს ისინი, ვინც... თავისი კოლექტივის ღირსება არარად ჩაავდო, **ლაფი გადაავლო** მთელ კოლექტივს [სწორია: ლაფში ამოხვარა კოლექტივის სახელი]“ („კომ.“).

## მ

**მალე** — ჩქარბ ზმნისართებს სინონიმური მნიშვნელობა აქვთ. **მალე** ნიშნავს: მოკლე დროის განმავლობაში, — **ჩქარა**; **ჩქარა** — 1. სწრაფად, მცირე დროის განმავლობაში; 2. მალე, დაუხანებლად.

**მალე** დროის ზმნისართია, **ჩქარა** — ვითარებისა. (ა. შანიძე). **მალე** გვიჩვენებს, რომ დრო, რომლის განმავლობაში ხდება მოქმედება, არის მცირე, მოკლე, ხანმოკლე. **ჩქარა** მოქმედების ვითარებას წარმოაჩენს, — ახასიათებს მოქმედებას, როგორც სწრაფად, დროის მცირე მონაკვეთში მიმდინარესა თუ შესასრულებელს.